საპროექტო განაცხადი

1. **პროექტის სახელწოდება:** გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რთული ქცევის მოზარდების ფსიქოსოციალური მომსახურება, ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლების კამპანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხებზე.

2. **პროექტის მიზანი**
   პროექტი მიზანია, ხელი შეუწყოს გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხებზე, თვითმმართველობის შესაძლებლობების გაძლიერების, სერვისების დანერგვისა და გაუმჯობესების გზით. კანონთან კონფლიქტში მყოფი და რთული ქცევის არასრულწლოვნებისათვის მიზნობრივი ფსიქოსოციალური სერვისის მიწოდება.

3. **ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ**
   - ორგანიზაციის სახელწოდება (რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით):
     - წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი
     - The Georgian Centre for Psychosocial and Medical Rehabilitation of Torture Victims (GCRT)
   - მისამართი საფოსტო ინდექსით, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, და ელ.ფოსტა: ქ. თბილისი 0179, ვ. ანჯაფარიძის N9; (+995 32) 2220680; info@gcrt.ge
   - იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
   - დამფუძნებლების სია: ნინო მახაშვილი, ფსიქიატრი; ერეკლე ნათაძე, ფსიქოლოგი; დარეჯან ჯავახიშვილი, ფსიქოლოგი; გოჩა გოშაძე, ფსიქოლოგი; ზურაბ ბებერაშვილი, ფსიქიატრი.
   - საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი ს.ს "თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; მიმღების ანგარიში GE17TB0664636080100047;
   - ორგანიზაციის დაარსების თარიღი: 2000 წლის, 22 სექტემბერი;
   - პროექტის დირექტორის სახელი, გვარი თანამდებობა ორგანიზაციაში, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტის მისამართი: ლელა ცისკარიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, (+995 032) 2220680; info@gcrt.ge

4. **ორგანიზაციის ისტორია და ძირითადი საქმიანობის აღწერა.**
   წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT) 2000 წელს დაარსდა თბილისში, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრის (IRCT) მხარდაჭერით. ორგანიზაციის მიზანია ძალადობის და არაჰუმანური მოპყრობის მსხვერპლ, ტრავმირებულ ადამიანებზე ზრუნვა და მათთვის სათანადო სერვისების შეთავაზება. დახმარება მოიცავს - სამედიცინო დიაგნოსტიკას, ფსიქოსოციალურ კონსულტირებას, საჭიროების შემთხვევაში კი მკურნალობისა და

რეაბილიტაციის კურსებს. 2003 წლიდან წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრს რამდენიმე რეგიონული ოფისი შეურთდა გორში, ბათუმსა და ქუთაისში.

ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებებია: ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია; დისკრიმინაციისა და სიძულვილის შედეგად დაზარალებულ პირთა გაძლიერება; რთული ქცევის მქონე ბავშვებისა და მოზარდების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია; პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების გაძლიერება; საქართველოს ფარგლებს გარეთ (რეგიონური) არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება; ორგანიზაციის საქმიანობების შესაბამისი პოლიტიკის ცვლილებების ხელშეწყობა; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად, ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფებია: იძულებით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები, მსჯავრდებულები და ყოფილი მსჯავრდებულები, სექსუალური და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვები და ზრდასრულები, არაჰუმანური მოპყრობის მსხვერპლნი, საომარი მოქმედებებით დაზარალებული ადამიანები, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახის წევრები.

2010 წლიდან GCRT აქტიურად არის ჩართული სისხლის სამართლის რეფორმის პროცესში. საქმიანობა მოიცავს აქტივობებს საზოგადოების 3 დონეზე: მიკრო (სერვისების მიწოდება ბენეფიციარებისთვის), მეზო (თანამედროვე, მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება, რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის პროგრამების დანერგვა, ტრეინიგები, სამუშაო შეხვედრები, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება და ა.შ.) და მაკრო დონეზე (მონიტორინგი და კვლევა, სახელმწიფოს ხელშეწყობა რეფორმის მიმდინარეობის პროცესში, რელევანტური პოლიტიკა და სამოქმედო გეგმის განვითარებისათვის).
ცენტრი ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხითაც მუშაობს. სწორედ აქტიური უფლებადაცვითი საქმიანობის შედეგად GCRT თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი და წევრია. უკანასკნელი წლების განმავლობაში „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ საქართველოს საზღვრებს გარეთ პროფესიონალების მომზადების, მათი მხარდაჭერის და სერვისების აწყობის პროცესში ჩაერთო.

ამ ეტაპზე ფონდი გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი (GIP-T) წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრთან (GCRT) პარტნიორობით ახორციელებს ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტს „სამოქალაქო საზოგადოება აღდგენისუნარიანობისა და უსაფრთხოებისთვის (CiSSCo)“.
პროექტის ძირითადი მიმართულებებია: დანაშაულისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმებისა და ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება; ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებული ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური ზრუნვის

შესაძლებლობების გაზრდა; ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და დანაშაულის პრევენციის სფეროში ხარისხიანი განათლების ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა; ქცევითი, ემოციური და ადიქციასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მულტიდისციპლინური მომსახურების უზრუნველყოფა და ადვოკატირება; მცირე პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა დაუცველი თემის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (საზოგადოების უსაფრთხოების პროექტები ეთნიკური უმცირესობებისთვის, დასაქმების პროექტები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ჯგუფებისა და ნარკოტიკების მომხმარებელ ქალთათვის და ა.შ.).

ორგანიზაციას მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს და ამ ეტაპზე აქვს რამოდენიმე მიმდინარე პროექტი გაეროს მოხალისეთა წამების მსხვერპლთა დახმარების ფონდისა (UNVFVT) და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ამას გარდა, შვიდი წელია ორგანიზაციას ფინანსურ დახმარებას უწევს გაერთიანებული სამეფოს საქველმოქმედო ფონდი Sigrid Rausing Trust.

5. პროექტის დასაბუთება

სტატისტიკურად მოზარდები საზოგადოების ყველაზე უფრო კრიმინალურ სეგმენტს წარმოადგენენ, მაგრამ საბოლოოდ მათი უმრავლესობა წყვეტს კრიმინალურ და ანტისოციალურ ქმედებას (United Nations World Youth Report, 2005), რაც დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად აქვს ქვეყანას შემუშავებული არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და პროგრამები.
ამ თვასაზრისით საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში, 2010 წლიდან ქვეყანაში დაინერგა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, ხოლო 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების კოდექსი. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ ყოველწლიურად ხდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განახლება, რომლის პრიორიტეტული მიმართულებებიც სწორედ დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენცია და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია/ რესოციალიზაციაა.

პრევენციის სტრატეგიის მიხედვით დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები დაყოფილია მიზნობრივი ჯგუფისა და ანტისოციალური ქცევის გამოვლენის რისკის დონეების მიხედვით. სტრატეგია განსაზღვრავს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამ დონეს: პირველი დონის პრევენცია მიმართულია ყველა არასრულწლოვანზე მთელი ქვეყნის მასშტაბით; მეორე დონის პრევენცია ორიენტირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ და დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებზე – დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებაზე; მესამე დონის პრევენცია გამიზნულია განმეორებითი დანაშაულის თავიდან

აცილებაზე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რთული ქცევის და დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებისთვის დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირების მიზნით სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ იქნას ბავშვთა და მოზარდთა დანაშაულის პრევენციის ეფექტური პროგრამები და ღონისძიებები. ადრეული პრევენცია ორიენტირებულია დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფ არასრულწლოვნებზე, რისკ-ჯგუფებისა და დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებაზე; რისკჯგუფებს წარმოადგენენ: მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვნები; ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე არასრულწლოვნები; სასწავლო პროცესის გარეთ მყოფი არასრულწლოვნები; ანტი-სოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვნები, მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნები, პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები; 14-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები და ახალგაზრდები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელი არასრულწლოვნები; ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით უკვე არსებობს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით პოზიტიური გამოცდილება, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების რაოდენობა მზარდია. კვლავ დღის წესრიგშია მიზანმიმართული პროგრამებისა და ღონისძიებების საჭიროება, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა.

დანაშაულის პრევენციის მიმართულებით არსებული გამოწვევები და საჭირობები დაფიქსირდა GCRT-ის და მისი პარტნიორი ორგანიზაციების „პრევენცია პროგრესისათვის“ და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისის“ მიერ ჩატარებულ კვლევებში''' ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა“ ფარგლებში.

ზემოაღნიშნული კვლევებით გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა რისკ-ჯუფების საჭიროებების დაკმაყოფილების ერთერთი მნიშვნელოვანი გზა ფსიქოსოციალური სერვისის მიწოდებაა. საქართველოს რეგიონებში არსებული პროფესიონალთა რესურსი ვერ აკმაყოფილებს დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საჭიროებებს, ხოლო დღეის მონაცემებით არსებული ინტერვენციის პროგრამები არ არის მრავალფეროვანი და მორგებული 14-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდების საჭიროებებს. ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს არ ფლობენ ინფორმაციას რეგიონში ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, ან ვერ ხედავენ მიზანმიმართული ინტერვენციის საჭირობას ან სერვისებთან წვდომა შეზღუდულია რიგი სოციო-ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორიცაა მაგალითად, სერვისამდე ტრანსპორტირება და სხვ.
პროექტის შედეგად სარგებელს მიიღებს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები არასრულწლოვნები და მათი მშობლები. კერძოდ, არასრულწლოვნებისთვის ხელმისაწვდომი იქნება მიზანმიმართული ფსიქოსოციალური სერვისი.

6. ორგანიზაციის მიმდინარე პროექტი (GCRT-ის თანამონაწილეობა)

GCRT-ის მიმდინარე პროექტია „სამოქალაქო საზოგადოება აღდგენისუნარიანობისა და უსაფრთხოებისთვის (CiSSCo)", რომელიც გულისხმობს ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდებას გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის. აღნიშნული პროექტის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ რისკ-ჯგუფში შემავალი მოზარდები და მათი მშობლები. ფსიქოსოციალური სერვისი ფუნქციონირებს 2022 წლის აპრილიდან და ბენეფიციარებს მომსახურებას გაუწევს 30 თვის განმავლობაში.
ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში გაძლიერდა დღეისათვის გორის მუნიციპალიტეტში არსებული რეფერალური ქსელი. არასრულწლოვნებთან ან მათ მშობლებთან და მზრუნველებთან მომუშავე უწყებებია: გორის მუნიციპალიტეტის მერია, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების, პრობაციისა და პრევენციის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.
რეფერალურ ქსელში ჩართული უწყებები ერთობლივად, კოორდინირებულად მუშაობენ კონკრეტული ბენეფიციარის საჭიროებების შესაბამისი სერვისის მიწოდებაზე.
GCRT-გორის გუნდი დაკომპლექტებულია შემდეგი სპეციალისტებით: ფსიქოლოგი/ფსიქოთერაპევტი, სოციალური მუშაკი/შემთხვევის მენეჯერი. სარეაბილიტაციო გუნდი განსაზღვრავს არასრულწლოვანთან მუშაობის სტრატეგიას, რომელიც ეფუძნება პირველადი შეფასების შედეგებს (გადმომისამართებაზე პასუხისმგებელი სოციალური მუშაკის/ფსიქოლოგის დასკვნა, ცენტრის სოციალური მუშაკის ინტერვიუ, ფსიქოდიაგნოსტიკა არასრულწოვანთან, არასრულწოვნის მშობელთან) და უზრუნველყოფს ბენეფიციარის ჩართვას ინდივიდუალური ან ჯგუფური ინტერვენციის პროგრამაში. განიხილავს მოზარდის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მუშაობის საჭიროებას და საჭიროების შემთხვევაში მისი კონსულტირების ან პოზიტიური მშობლობის პროგრამაში ჩართვის საკითხს. ჩარევის დაწყებიდან ყოველი თვის ბოლოს GCRT-ის სარეაბილიტაციო გუნდი გადმომისამართებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად განიხილავს ქეისის მიმდინარეობას და გამოკვეთილ სირთულეებსა და მიღწევებს (სირთულეების გამოვლენის შემთხვევაში განსაზღვრავს მუშაობის სტრატეგიას), წერილობით აწვდის უკუკავშირს.

მიუხედავად იმისა, რომ რეფერალური ქსელი სათანადოდ მუშაობს და არასრულწლოვანთა გადმომისამართება GCRT-ის სერვისში ხორციელდება, აღსანიშნავია გარემოება, რომ სერვისის ფუნქციონირების რვა თვის განმავლობაში არასრულწლოვანთა მომართვიანობის მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია, რაც გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ სერვისის შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობაა ან პოტენციურ ბენეფიციარებს არ აქვთ იდენტიფიცირებული საკუთარი საჭიროებები. გარდა ზემოაღნიშნულისა GCRT-ის გორის ოფისის გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრებ ბენეფიციარებს ხშირ შემთხვევაში გადაადგილების საშუალება არ აქვთ. შესაბამისად დღის წესრიგში დგას გორის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა ცნობიერების ამაღლების

საჭიროება და არასრულწლოვნებთან მომუშავე სპეციალისტთა ინფორმირება, მიზანმიმართული სერვისის შესახებ და სერვისთან წვდომის ხელშეწყობა.

გარდა ცნობიერების ამაღლებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდისა, მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს არასრულწლოვანთა ფსიქიატრიული და ნეიროფსიქოლოგიური კონსულტირება, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან (ვიზიტი ქ. თბილისში შესაბამის სპეციალისტთან, მგზავრობის ხარჯები) რადგან გორის მუნიციპალიტეტში არ არსებობს არასრულწლოვანთა ფსიქიატრიული და ნეიროფსიქოლოგიური სერვისი. აღნიშნული რესურსი პროექტს „სამოქალაქო საზოგადოება აღდგენისუნარიანობისა და უსაფრთხოებისთვის (CiSSCo)“ არ გააჩნია.

7. პროექტით გათვალისწინებული აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები

წინამდებარე პროექტის ფარგლებში GCRT, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან პარტნიორობით განახორციელებს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხებზე ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლების კამპანიას, რაც ითვალისწინებს ქვემოთ მოცემულ აქტივობებს:

- პროექტის საწყის ეტაპზე გორის მერიის წარმომადგენლების მონაწილეობით განხორციელდება სამუშაო შეხვედრები. შეხვედრებზე განხილული იქნება დანაშაულის პრევენციის მიმართულებით გამოვლენილი საჭიროებები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრების თემატიკა და შემუშავდება სამოქმედო გეგმა;
- GCRT-ის ექსპერტის არასტულწლოვანთა საკითხებში მიერ მიეწოდებათ ტრენინგი გორის მუნიციპალიტეტის მერიაში არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე თანამშრომლებს (ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და სხვ.). ტრენირება მოხდება შემდეგ თემებზე: რთული ქცევის მქონე მოზარდებთან მუშაობის თავისებურებები, მშობელთა პოზიტიური სწავლება, ძალადობის ნიშნების ამოცნობა და მასზე რეაგირება და სხვ.
- განისაზღვრება ადგილობრივ თემთან შეხვედრების განრიგი და განხორციელდება საველე შეხვედრები. შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. შეხვედრებზე განსახილველი აქტუალური საკითხებია: ფსიქოგანათლება ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ; არასრულწლოვნების ქცევითი და ემოციური პრობლემების იდენტიფიკაცია; ქცევითი პრობლემების მქონე მოზარდებთან ეფექტური კომუნიკაცია; არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და სხვ;
- აღნიშნულ შეხვედრებზე ასევე განხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება რეგიონში არსებული ფსიქოსოციალური სერვისების შესახებ, მონაწილეებს დაურიგდებათ საინფორმაციო ფურცლები (სადაც დატანილი იქნება ინფორმაცია რეგიონში არსებული სერვისიების შესახებ) და ბუკლეტები (პოზიტიური მშობლობის მოკლე საინფორმაციო ბროშურა).

- პროექტის განმავლობაში GCRT-ის სარეაბილიტაციო გუნდის მიერ, გორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან თანამშრომლობით განხორციელდება მიზნობრივი ფსიქოსოციალური სერვისი მიწოდება (ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპია) გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 არასრულწლოვნისთვის; ხოლო "პოზიტიური მშობლობის პროგრამის" მიწოდება მოხდება 50 მშობლითვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის.
- პროექტის ბენეფიარები საჭიროების შემთხვევაში გადამისამართდებიან ქ. თბილისში ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრთან ან ნეიროფსიქოლოგთან კონსულტაციის მისაღებად. ხოლო იმ ბენეფიციარს, ვისაც ექნება გადაადგილების ხარჯების დაფინანსების სირთულე, შემთხვევის მენეჯერის გადაწყვეტილებით აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯები, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების საფუძველზე.

9. პროექტის განხორციელების გრაფიკი

წარმოგიდგენთ პროექტის აქტივობების განხორცილების გრაფიკს თვეების მიხედვით.

აქტივობა		**თვეები**									
		მარტ.23	აპრ.23	მაი.23	ივნ.23	ივლ.23	აგვ.23	სექ.23	ოქტ.23	ნოე.23	დეკ.23
1	სამუშაო შეხვედრები გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებთან, შეხვედრის თემატიკის განსაზღვრა, სამოქმედო გეგმის შემუშავება	x									
2	გორის მერიის და GCRT-ის თანამშრომელთა ტრენინგი	x									
3	საველე შეხვედრები გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში		x	x	x	x	x	x	x	x	
4	ფსიქოსოციალური სერვისის მიწოდება გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები არასრულწლოვნებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
5	პროექტის დახურვის ღონისძიება										x
6	ანგარიშის მომზადება										x

8. **პროექტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მოწოდება:**
პროექტის დასრულების შემდეგ მომზადდება ნარატიული და ფინანსური ანგარიში.

9. **პროექტის ხანგრძლივობა:** 12 თვე

10. **ბიუჯეტი:**

გორის მუნიციპალიტეტიდან მოთხოვნილი თანხის ოდენობა: 21 780 ლარი.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ხარჯთაღრიცხვას.

პროექტის წარდგენის თარიღი: 07.02.2023

პროექტის ხელმძღვანელი: შორენა ზედგინიძე

ხელმოწერა:

ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი: ლელა ცისკარიშვილი

ხელმოწერა:

ორგანიზაციის ბეჭედი: